ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

34 (10021) • 3 seqtemberi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

პრესკონფერენცია გამგებელთან

გაზეთი „ალიონი“

29 აგვისტოს ოზურგეთის მინიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პრესკონფერენცია ჩაატარა. პრესკონფერენციის თემა გამგებლობიდან 8 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და მიმდინარე პროცესები უნდა ყოფილიყო.

—პრესკონფერენციებს ნაკლებად ვატარებ, იმიტომ, რომ ძალიან დატვირთული ვარ და როდესაც ამის აუცილებლობა იქნება, შეგაწუხებთ. დღევანდელი ჩემი შეხვედრა მინდა, იყოს კითხვა-პასუხის რეჟიმში. არის უამრავი კითხვა, საკითხები, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში ცალმხრივად შუქდება და აუცილებლად ჩავთვალე, რომ ამ ბრალდებებს გავცე პასუხი, რომელიც 80 პროცენტით ჩემს პიროვნებას, ჩემს საქმიანობას ეხება, — განაცხადა კონსტანტინე შარაშენიძემ.

თავდაპირველად კითხვა აგვისტოს თვეში სტიქიის მიერ დაბა ურეკსა და სხვა სოფლებზე მიყენებული ზიანის ოდენობას ეხებოდა. გამგებლის თქმით, სპეციალისტებმა ზარალის ოდენობა 800 ათასი ლარის ფარგლებში დათვალეს და მოთხოვნა გადააგზავნეს.

ტვ „გურიამ“ დასვა კითხვა თუ რატომ არ წარმოადგინა გამგებელმა საკრებულოს სხდომაზე გაზაფხულზე სტიქიით მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით გამოყოფილი 450 ათასი ლარის ხარჯვის შესახებ.

—როცა საჭიროდ ჩავთლით, მაშინ გავაკეთებთ ინფორმაციას.

გაზეთი „გურია ნიუსი“ ტენდერების თემაზეც შეეკითხა გამგებელს. საკრებულოს დეპუტატ დიმიტრი კვერღელიძეს კითხვებიც ჰქონდა ამასთან დაკავშირებით.

—ტენდერებს შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად ატარებს. მასში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ და აშშ-ში მცხოვრებმაც. ამ ტენდერს აქვს დამცავი მექანიზმები და ფიზიკური ჩარევა არ ხდება. თუ ამ თემაზე ეჭვი აქვს ბატონ დიმიტრი კვერღელიძეს, მიმართოს შესყიდვების სააგენტოს და გასცემენ კომპეტენტურ პასუხს.

ამის შემდეგ პრესკონფერენცია გაზეთ „გურიის მოამბის“ ჟურნალისტებსა და გამგებელს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც იყო ემოციური გამოთქმებიც.

კოტე შარაშენიძე „გურიის მოამბის“ ჟურნალისტებს უხსნიდა, რომ მათ ფართიდან არავინ ყრიდა და „გურიის მოამბის“ ბრალდებები უსაფუძვლო იყო. საკმაოდ ხანგრძლივ „დებატებში“ გამგეობის იურისტი თეა ლომჯარიაც ჩაერთო და მანაც გააკეთა განმარტება, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ფართის მოთხოვნა პრესკლუბისთვის კანონის დაცვით მოხდა (ეს იყო გაფრთხილება, რომლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო მოლაპარაკება საკრებულოს და რედაქციას შორის) და არავინ არ აპირებდა რედაქციის უბინაოდ დატოვებას.

პრესკონფერენციის ბოლოს გამგებელმა ემოციურ ფონზე ასე მიმართა „მოამბეს“:

— შექმენით სიტუაცია, რომ თითქოს ზეწოლა განხორციელდა. სად ჩანს ზეწოლა, ჩვენია ფართი, ხალხის ქონებაა, ვინ არის ლადო მენაბდე და პრესკლუბი, რომ აუცილებლად უნდა იყოს მთელი ცხოვრება ამ ფართში. მაშინ შეესყიდა კანონიერად, თუ ასე სჭირდებოდა. ეს მუნიციპალიტეტის ქონებაა. და ახლა ქალაქის ცენტრში ეს ფართი სჭირდება.

„გურიის მოამბემ“ გამგებლის რეპლიკაზე, თუ რა მეთოდებით იღებდნენ ბიუჯეტიდან თანხებს, უპასუხა, რომ ტენდერში იმარჯვებდნენ. რაზედაც გაზეთმა „ალიონმა“ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში ამ თემაზე ტენდერი არ ჩატარებულა და ისე იღებდნენ გადაწყვეტილებას თუ ვის დაფინანსებდნენ.

P.S. გაზეთი „ალიონი“ მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსა და კონკრეტულ მედიასაშუალებას შორის სადავო საკითხის გადაწყვეტა ცივილური ფორმით უნდა მოხდეს. ამიტომ გაზეთი თავს იკავებს ამ პრესკონფერენციის დეტალური გაშუქებიდან...

სტიქია კვლავ მძინვარებს

. გაზაფხულიდან მოყოლებული რეგიონს სტიქიის შემოტევები არ მიკლებია. 18 აგვისტოს ძლიერი წვიმის შედეგად დაბა ურეკსა და შეკვეთილში მოსახლეობის პირველი სართულები დაიტბორა, წერეთლის ქუჩაზე მეწყერი ჩამოწვა და სამანქანო გზა ჩახერგა, დაიტბორა დუმბაძის ქუჩა, ყველაზე დიდი ზარალი სოფელ ნატანებში მცხოვრებ, ავთანდილ გაბიტაშვილის ოჯახს მიადგა, სადაც უცებ ჩამოწოლილმა მეწყერმა ექვს სულიანი ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა.

19 აგვისტოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით ნარმანია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ურეკში იმყოფებოდნენ და მთელი დღის მანძილზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას ხვდებოდნენ. დავით ნარმანიამ კონსტანტინე შარაშენიძესთან ერთად ყველა ის ადგილი დაათვალიერა, რომელიც უხვად მოვარდნილმა ნალექმა დააზიანა და ადგილობრივთათვის მეწყერსაშიშ ზონად აქცია.

მინისტრმა დაზარალებული გაბიტაშვილები გამგებელთან ერთად მოინახულა და მათ დახმარებას დაპირდა. იგი ასევე სოფელ მწვერმაღალასაც ეწვია, სადაც ადგილობრივებისაგან საყოფაცხოვრებო პრობლემები მოისმინა.

სტიქიის ზონაში სამაშველო სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახანძრო და სამაშველო ჯგუფები აწარმოებდნენ, კონსტანტინე შარაშენიძემ მყისიერად მოახდინა მძიმე ტექნიკის მობილიზება, რამაც დამეწყრილ ადგილებში ჩახეგილი გზის გაწმენდა უზრუნველყო. მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამაშველო ჯგუფი, რომელიც დაზარალებულთა ევაკუაციას ახდენდა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები სასტუმროების ეზოდან დაგუბებულ წყალს ტუმბავდნენ.

გვ-2

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

2013 წლის 4 სექტემბერს, ოზურგეთის რაიონში ჩამოდის პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რომელიც შეხვედრებს გამართავს მოსახლეობასთან შემდეგი გრაფიკით:

13:45 - შეხვედრა სოფელ ნატანების მოსახლეობასთან (სოფლის ცენტრი);
15:50 – შეხვედრა ქ. ოზურგეთის მოსახლეობასთან (ეკლესიის მიმდებარე სკვერი);

16:15 –საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალის ყვავილებით შემკობა (ეკლესიის მიმდებარე სკვერი);
17:45 - შეხვედრა სოფ.ლიხაურის მოსახლეობასთან (სოფლის ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი);
მსურველებს შეუძლიათ დაესწრონ.

„ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

დემოკრატიული მოძრაობა
ერთიანი საქართველო

„ასკანობა“ წელსაც აღინიშნა

ნუგზარ ასათიანი



30 აგვისტოს, სოფ. ასკანაში მორიგი „ასკანობა“ იზეიმეს. დილით „ასკანელი ძმების“ (ასე იცნობს საზოგადოება ცნობილ ბიზნესმენ ძმებს გოჩა, ზურაბ, ჯიმშერ ჩხაიძეებს) მიერ აგებულ ტაძარში ჩატარდა წირვა.

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 სექტემბერი, სამშაბათი	4 სექტემბერი, ოთხშაბათი	5 სექტემბერი, ხუთშაბათი	6 სექტემბერი, პარასკევი	7 სექტემბერი, შაბათი	8 სექტემბერი, კვირა	9 სექტემბერი, ორშაბათი
წვიმა +16+25	მზე, ღრუბელი +18+24	მზე ღრუბელი +17+24	წვიმა +15+24	ღრუბელი +14+19	მზე +15+21	მზე, ღრუბელი +18+23

სტიქია კვლავ მძინვარებს

წყალმომარაგების კომპანიის მოძრავი ლაბორატორია წყლის ხარისხს ამოწმებდა.

1 სექტემბერს, დაახლოებით 03 საათზე ძლიერმა წვიმამ და ქარიშხალმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში შეკვეთილი, ურეკი, ნატანები და შრომა ჩააყენა. ცენტრალური გზის გასწვრივ არაერთი ხე წაიქცა, წყალმა და ღვაცოფმა დაზიანა საცხოვრებელი სახლი სოფ. ნატანებში. სოფ. შრომაში სახლებს სახურავები ახადა, ხოლო დაბა ურეკში სხვა დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. დაზარალებულთა შორის არიან სოფ. გურიანთის მცხოვრებლებიც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიისაგან გამოწვეული ზიანის მოცულობის დადგენა მიმდინარეობს, რის შემდეგაც საჯარო ინფრასტრუქტურისადმი მიყენებული ზარალი დადგინდება და მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით აღდგენითი სამუშაოებიც დაიწყება.

უახლოეს პერიოდში დაბა ურეკში წყლისა და კანალიზაციის პრობლემის მოგვარდება. რაც სტიქიის შემთხვევაში ადგილობრივებს ნაკლებ პრობლემებს შეუქმნის.

გაზეთ „ალიონი“-ს კითხვაზე თუ რა ბედი ეწიათ, ნატანებში (წვერმაღალა) გაბიტაშვილების ოჯახს და ასევე 1 სექტემბერს ძლიერი ქარისგან სოფ. ციხისფედში ნუგზარ მჟავიას ოჯახს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ გვიპასუხა: –ჩვენ არც ერთ ოჯახს არ დავტოვებთ უყურადღებოდ. სახელმწიფომ თანხები გამოყო და შეასაბამისად ვიმოქმედებთ. გულიტაშვილების ოჯახს ან ახალ საცხოვრებელს შევუძენთ, ან ფულად კომპენსაციას მივცემთ ახლის ასაგებად. ეს სავარაუდოდ 20-25 ათასი ლარი იქნება. ასევე დავეხმარებით სოფ. გურიანთაში მჟავიების ოჯახს. მათ სახლის გადახურვა სჭირდება. ჩვენ გასაჭირში არავის არ მივატოვებთ!

„ასკანობა“ წელსაც აღინიშნა

სოფლის ცენტრში სპორტული ღონისძიებები გაიმართა. ასკანელმა, მთისპირელმა, ბახველმა, მშვიდობაურელმა და ნაგომრიელმა ცხენოსნებმა საინტერესო სანახაობა აჩვენეს მაყურებლებს.

ერთკილომეტრიან დოღში ნაგომრიელმა ვალერი ვადაჭკორიამ გაიმარჯვა, 3-კილომეტრიანში ბახველმა ზაზა შათირიშვილმა.

ასკანელმა ბესო ლიპარტელიანმა მკლავჭიდში გაიმარჯვა, ხოლო ასკანელმა ფეხბურთელებმა მზიანლებს სძლიეს 7: 2.

ზაურ ჩხაიძემ სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვა სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულები, ხოლო სოფლის 80 უხუცეს ადამიანს ჩხაიძეების ფირმის საკოლექციო ღვინოები და პროფესორ ვალერი ასათიანის მიერ გამოცემული წიგნი „არგონავტები“ გადასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის განვითარების პროექტით შპს „გზამშენი-18“-მა მოკლე დროში შეძლო მშიდობაური-ასკანის გზის სამუშაოების ჩატარება. მოასწორეს გზის დაზიანებული ადგილები, ხოლო იქ, სადაც ასფალტი შემორჩა, ორმული შეკეთებები ჩაატარეს. ამ საქმეზე 28 ათასი ლარი დაიხარჯა.

ზაურ ჩხაიძე: –2001 წლის 30 აგვისტოს გაიხსნა ტაძარი. ამ დღეს ჩაეყარა სახალხო დღესასწაულ „ასკანობს“ საფუძველი და მას შემდეგ ტარდება. ამ დღეს ტარდება როგორც სპორტული, ისე მხატვრული ღონისძიებები. წელს ღონისძიება უფრო მოკრძალებულად ჩატარდა, რადგან სოფლის კოლორიტი ადამიანი დავით (ხეჩო) ნაცვალაძე გარდაიცვალა.

–ვიცით, ქველმოქმედებასაც ეწევით...

–ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით სოფელს. ახალგაზრდა დედებს ვეხმარებით. წელს 18 ახალშობილზე გავცემთ 200-200 ლარს. ძალიან გვინდა სოფელში გამრავლების პროცენტმა მოიმატოს. ამ თანხით პრობლემას ვერ გადაჭრი, მაგრამ ერთგვარი წამახალისებელი ღონისძიებაა ჩვენი მხრიდან. ცალკეულ ადამიანებს ვეხმარებით ინდივიდუალურად. ბუნებრივია, ეკლესიის გვერდით ვდგავართ.

სოფელს არ ჰყავს სულით მდიდარი ხალხი, რომ მოინდომონ და საქმე გააკეთონ...

–როგორც ვიცით ასკანაში მარანის და სხვა ობიექტების გახსნას აპირებთ...

– ჩვენ სოფელში სასტუმრო სახლს ვაკეთებთ, სადაც მარანი, კორტი და სხვა რამ იქნება. იქ სტუმრებს მივიღებთ. ხოლო ძველი სკოლის ეზოში მუზეუმს ვაკეთებთ.

–თქვენი ვაჟები ძველი გურული ვაზის ჯიშების აღდგენით არიან დაინტერესებული...

–კი, ასეა. სანერგე მეურნეობიდან „ჩხავერის“ ნერგებს ჩამოვიტანთ, რომელსაც მოსახლეობას დავურიგებთ. ოზურგეთი „ჩხავერის“ მწარმოებელი უნდა გახდეს. ამ ყურძენს ჩვენ ჩავიბარებთ, რომლისგან დაყენებულ ღვინოს მსოფლიოს ყველა კუთხეში გავაგზავნით. ასევე გვინდა ხილის მიმღები პუნქტი გავხსნათ.

–რა პრობლემას ხედავთ სოფელში მოსაგვარებელს...

–უპირველესად უწყლობას, რომლის მოუგვარებლობა სოფელსაც და ჩვენც პრობლემების წინაშე გვაყენებს.

პ.ს. ჩხაიძეების ახლადაგებულმა სასტუმრო სახლმა ამ დღეს არაერთ ცნობილ ბიზნესმენს და სხვა საზოგადო მოღვაწეს უმასპინძლა.

მეხვედრა მიგრაციის საკითხებზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და მოსახლეობასთან ერთად პროექტის „საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“ გაიმართა.

პროექტი ფოკუსირდება 4 მთავარ ამოცანაზე: მიგრაცია და განვითარება; მიგრაციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა; არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; მიგრანტთა უფლებების დაცვა.

პროექტის დირექტორმა ხათუნა ბურკაძემ ისაუბრა კვლევის შედეგად გაანალიზებულ საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაზე 2013-2015 წლებში, მიგრაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, უკანონო მიგარციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე და პასუხი გასცა ამ თემებზე დასმულ შეკითხვებს.

თურქული ენის შესასწავლად მესაჭიროება თურქული ენის სპეციალისტი, შესაბამისი ანაზღაურებით, დამიკავშირდით: (598) 84 84 82.

ტიფო მიქატაძე სასამართლოს მიმართავს

საქართველოს რეპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძე გაზეთ „გურიის მოამბის“ მიერ, „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით დარჩიასთან საუბრის ფარული ჩანაწერის გამოქვეყნებისათვის ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მიმართავს.

– ჩვენ, ფარული ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციებს გადავეცით პრესრელიზი „ფრთხილად, ქალაქში ასინეთა დადის!“ ჩემს განცხადებაზე ბ-ნი ლადო ამბობს, რომ იგი აგებულია უსინდისო ტყუილებზე. ვის როგორი ცხოვრებით უცხოვრია, ყველამ კარგად იცის. მისი განცხადება, რომ თითქოს მას ფარული ჩანაწერი არ გაუკეთებია და „ქართული ოცნება“ ცდილობს, დაუმორჩილებელი მედიასაშუალება დახუროს –ტყუილია და მტყუანმართალს სასამართლო გაარჩევს.

როცა გაზეთი „გურიის მოამბე“ ჩამოყალიბების ფაზაში იყო, ყველანაირად ხელს ვუწყობდი გაზეთის განვითარებას, რადგამ მიმაჩნდა, რომ რაც მეტი მედიასაშუალება იქნებოდა, მეტად განვითარდებოდა დემოკრატია....

სასამართლოზე დადასტურდება, რომ ვლადიმერ მენაბდემ ფარულად შემოაღწია ჩვენს ოფისში, ფარულად აკეთებდა ჩანაწერებს. ეს არის ასინეთას სინდრომი,–განაცხადა მიქატაძემ.

–რა არის სენსაცია–კოალიციის ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს? ეს ყველაფერი ემსახურება კონკრეტული ადამიანების დაკვეთებს –ტოფო მიქატაძის და დავით დარჩიას დისკრედიტაციას.

დავით დარჩიასთან საუბრის დროს არ ვპასუხობდი ზარებს, მოგვიანებით მხოლოდ მეუღლის –მარინა სუნგულიას ზარს ვუპასუხე, რომელმაც მითხრა, ის ზარები იმ მოქალაქეებიდან იყო შემოსული, რომელთაც უნდა გავეფრთხილებინე ოფისში ლადო მენაბდის ფარულად შემოსვლის შესახებ.

ლადო მენაბდის სიტყვა ჩემში სანდოობით არ სარგებლობს–ასეთი ვერდიქტი აქვს გამოტანილი ტიფო მიქატაძეს.

პ/გ ეროვნული ფორუმის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ოთა გოგიბერიძის ბრიფინგის პრესრელიზი

პასუხი ტიფო მიქატაძისა და მარინა სუნგულიას განცხადებაზე:

თითქმის წელიწადნახევარია ეროვნულ ფორუმს თანაშრომლობა უწევს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებაში" შემავალ პოლიტიკურ ძალებთან და ვერავინ იტყვის რომ, ოდესმე ჩვენი მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ პოლიტიკურ პარტიებთან კონფრონტაციული დამოკიდებულების მცდელობას, მეტიც, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბატონ კახა შარტავას „გუნდურობის მასტერკლასის ჩამტარებელი" უწოდა და ჩვენც ეროვნული ფორუმის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციები მხოლოდ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ.

მიუხედავად ამისა ბოლო პერიოდში გაჩშირდა ადგილობრივი რესპუბლიკელებისაგან ჩემი სახელისა და გვარის სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა კონტექსტში ხსენება, რასაც პირადად ჩემს წინააღმდეგ და ზოგადად პ/გ ეროვნული ფორუმის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღვიქვამ და ვფასებ, როგორც მიზანმიმართულ შავ პიარსა და ჩვენი მაღალი საზოგადოებრივი რეიტინგისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების მცდელობად.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე და შემდეგაც ჰქონდა ადგილი მსგავს ქმედებებს, მაგრამ არასდროს მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება ჩავრეულიყავი შემოთავაზებულ კონფრონტაციულ ინტრიგებში. ვფიქრობდი, რომ მოთმინებით და მათ მიმართ პარტნიორული დამოკიდებულებით საფუძველს ჩავუყრიდი შიდაკოალიციურ ჯანსაღ ურთიერთობებსა და ურთიერთპატივისცემის გარემოს.

თუმცა როგორც ჩანს, ჩემმა კეთილშობილურმა ჟესტმა შედეგი არ გამოიღო. ისინი ზუსტად იმ რეჟიმში აგრძელებენ საქმიანობას, როგორ რეჟიმშიც განვლილ პერიოდში იყვნენ., კერძოდ, მიუხედავად მაშინ არსებული ურთულესი წინასაარჩევნო პერიპეტიებისა, მიუხედავად ნაციონალური მოძრაობის ტოტალიტარულ ხელისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისა ღია კონფლიქტში იყვნენ „თავისუფალ დემოკრატებთან" და პიროვნულ დაპირისპირებაში „თავისუფალი დემოკრატების" ადგილობრივ ლიდერთან თემურ სალუქვაძესთან, რითაც ჩვენი კოალიციის შიგნით არსებული ვითარების შესახებ საზოგადოებაში უარყოფით ფონს ქმნიდნენ, ხელს უწყობდნენ ჩვენს მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების დანერგვას. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რომ არა მსგავსი ურთიერთობები, საარჩევნო შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა. რის თაობაზეც არაერთხელ ჩავყენე საქმის კურსში მაშინ ჯერ კიდევ მაჟორიტარობის კანდიდატი, ზვიად კვაჭანტირაძე.

თავი შევიკავე მკვეთრი განცხადებებისაგან მაშინაც, როდესაც საჯარო გახდა ტიფო მიქატაძისა და დავით დარჩიას ე.წ. „საიდუმლო სერობის" მასალები, სადაც ჩემს მიმართ უაღრესად უპატივცემულო და შეურაცხმყოფელ ტონში და ჩემთვის გაუგებარ და აბსოლუტურად არარსებულ თემებთან დაკავშირებით კეთდებოდა ყოვლად მიუღებელი შეფასებები. აქაც არაადეკვატურად შეფასდა ჩემი დუმილი და გაგრძელებამაც არ დააყოვნა- ტიფო მიქატაძისა და მარინა სუნგულიას ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც „გურია ნიუსმა“ გამოაქვეყნა, აღმოვჩნდი მათი „შეფასების" ობიექტი.

მინდა შეგახსენოთ, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი. თუ კი, მე, თავს არ ვაძლევ უფლებას გამოვიდე კოალიციური პარტნიორობის ჩარჩოებიდან, გეკითხებით, თქვენ რატომ აყენებთ თავს ამ ურთიერთობების მაღლა და თანაც მსგავსი ფორმით?

საზოგადოებას შვახსენებ, რომ მე სოლიდარობა გამოვუცხადე რეგიონალ მედია-საშუალებას „გურიის მოამბეს", რომელსაც ოზურგეთის საკრებულო გარკვეულ პრობლემებს უქმნის. მიმაჩნია, რომ დემოკრატიული პროცესებისათვის მსგავსი დამოკიდებულებები პრესის მიმართ მიუღებელია.

აქვე შევახსენებ მკითხველს , რომ, წლების მანძილზე მიმდინარეობდა ზეწოლა გაზეთ „ალიონზე,“ რომელსაც მხარში ვედექით. როდესაც ნაციონალების მხრიდან ზეწოლები ხორციელდებოდა „გურია ნიუსზე, პირადად მე და ჩემი პოლიტიკური გაერთიანება მაშინაც ბოლომდე ვიდექით მედია საშუალების გვერდით და ოფიციალურად ვფიქსირებდით ჩვენს მხარდაჭერას. ასევე უამრავი მცდელობა გვქონდა ტელეკომპანია „მადის" სახელისუფლებო ზეწოლის კლანჭებიდან გამოხსნის მიზნით.

და ბოლოს საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტნიორების საყურადღებოდ ვაცხადებ: არაფერი გამიკეთებია და არაფერს გავაკეთებ ისეთს, რომ ტიფო მიქატაძისა და მარინა სუნგულიას მსგავსად ჩემი ოზურგეთელებისათვის ბოდიში მქონდეს სახდელი. ვმოქმედებდი და ვიმოქმედებ ჩემი ხალხის სიყვარულით, ჩემი პოლიტიკური გაერთიანების შიდა პარტიული დისციპლინით, ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, ჩემთვის ჩვეული გულწრფელობითა და თადადებით.

ცვლილებები ბიუჯეტში საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტი დამტკიცდა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვმარტოთ ის ძირითადი ცვლილებები, რომლიც აისახა ბიუჯეტში.

საქართველოს მთავრობის №1105 განკარგულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9 721 340 (ცხრა მილიონ შვიდას ოცდაერთი ათას სამას ორმოცი)ლარი. აქედან 4 511 780 ლარით დაფინანსებულ იქნება დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვარი, სოფ. ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუ, ქ. ოზურგეთი (ლესელიძის ქ.) -სოფ.ოზურგეთი, ლიხაური-აჭის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია. სწორედ ამ პროექტების განხორციელებაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით გამოვლენილია გამარჯვებული კომპანიები: „ბლექ სი გრუპი“, „მარჯინი“, „გზამშენი 18“.

ცნობისათვის: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს №1052 განკარგულებით, მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის თვეებში თვითმართველ ერთეულებში მომხდარი „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 10 161 112 ათ. ლარი, აქედან ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დაფინანდა 1 179 400 (ერთი მილიონ ასსამოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარით.

ბიუჯეტში ცვლილებები გახლდათ საკრებულოს წევრების მსჯელობის თემა. დეპუტატებმა წარმოდგენილ პროექტს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

აქვე დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებების განმარტებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური და დეტალური ინფორმაცია საკრებულოსა და გამგეობის შესაბამის სამსახურებში

ოზურგეთის სიმბოლიკაზე კონკურსი გამოცხადდება

ოზურგეთის თვითმმართველობის სიმბოლიკის: გერბისა და დროშის საუკეთესო პროექტის შერჩევის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დროებით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი უხელმძღვანელებს. უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები არქიტექტორებთან, დიზაინერებთან, სპეციალისტებთან. საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის განცხადებით, წარმოდგენილი ესკიზებიდან, გამარჯვებული ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით გამოვლინდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოზურგეთის სიმბოლიკაზე კონკურსი ადრეც გამოაცხადა. თუმცა კომისიაში შემოსული საკონკურსო ესკიზთა ვარიანტები ჰერალდიკის საბჭომ ჰერალდიკის კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია.

ავთანდილ სურგულაძე იმედოვნებს, რომ ოზურგეთს ექნება ისეთი სიმბოლიკა, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის მოწონებას დაიმსახურებს.

ოზურგეთის თვითმმართველობის სიმბოლიკის: გერბისა და დროშის საუკეთესო პროექტის შერჩევა-შეფასებაში ჰერალდიკის საბჭოს სპეციალისტებიც ჩაერთვებიან.

ქვიშა-ხრეშის მოპოვებაზე მონიტორინგი განხორციელდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტში, ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე, თამაზ სალუქვაძე უხელმძღვანელებს.

ჯგუფის მიზანია შეისწავლოს მერიის თემში, მდინარე ნატანებზე მიმდინარე ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი სამუშაოების მიმდინარეობა და დაადგინოს მათი შესაბამისობა გაცემულ ნებართვასთან. როგორც ადგილზე ჩატარებულმა დათვალიერებამ დაადგინა, მოპოვებითი სამუშაოები გარკვეულ პრობლემებს უქმნის მდინარე ნატანებზე არსებულ საავტომობილო ხიდის საძირკველს, დაზიანებულია ცენტრალური გაზსადენის მაგისტრალი და მდინარეს ეცვლება კალაპოტი.

საკრებულო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს მონიტორინგს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობებს შესაბამის უწყებებს.

ზამთრის სეზონს ბაღები მომზადებული შეხვდებიან

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“ საბავშვო ბაღებში სათბობი შეშის ნაცვლად ხის საწვავი „ბრიკეტის“ გამოყენებას გეგმავს. ალტერნატიული გასათბობი საშუალების გამოყენება და შეძენა საკრებულოს წევრების თანხმობით, სხდომაზე გადაწყდა.

ხის საწვავი „ბრიკეტი“ დამზადებულია ხის ნარჩენებისაგან (ნახერხი, ბურბუშელა), ყოველგვარი მინარევების გარეშე. „ბრიკეტი“ წვის ხანრგძლივობის გარდა სითბოს სწრაფი და დიდი ოდენობის გამოყოფით გამოირჩევა. იგი ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა საწვავ საშუალებად ითვლება.

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს მიერ სათბობი შეშის შესყიდვის შესახებ გამოცხადებული ტენდერები არ შედგა, რის შემდეგაც ცენტრის ადმინისტრაციამ საკრებულოს სხდომაზე დააყენა საკითხი ე.წ. ხის საწვავი ბრიკეტის შეძენასთან დაკავშირებით.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ალტერნატიული სათბობი საშუალების შესაძენად უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

საკრებულოს საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება

თბილი საღამო თბილი ლექსებით

მარი კოძოევი

შალვა რადიანის სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხათუნა ჭეიშვილის პოეზიის საღამო ჩატარდა. საღამოს ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი) და სოფ. დვაბზუს ახალგაზრდული სათემო კლუბი „ლამპარი“ (ხელ-ლი მაია ქოჩიშვილი). ღონისძიება ჩატარდა ფონდ „ტასოს“ ფინანსური მხარდაჭერით. მუზეუმის დირექტორი ქ-ნი ნინო ჯაველიძე მუზეუმის ისტორიასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა მიწვეულ სტუმრებს. ხათუნა ჭეიშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხა და მეგობრებთან ერთად ლექსებს სიმღერაც მიაყოლა.

ქეთევან ხიდაშელმა სიურპრიზიც მოუმზადა ლექსების ავტორს და პატარა კრებული გადასცა საკუთარი ხარჯებითა და ტექნიკური საშუალებებით დაბეჭდილი.

ქეთევან ხიდაშელი: ჩვენ დაგეგმილი გვაქვს პოეტებთან, ხელოვან ადამიანებთან შეხვედრა. აქვე გვყავს კარგი პოეტი, ამიტომაც გადავწყვიტეთ ხათუნასთან შეხვედრა. საღამოზე მოწვეული გახლდათ რუსთველოლოგი, არაერთი წიგნის მთარგმნელი და ავტორი ბატონი ანზორ – რომელმაც შეხვედრას თბილი საღამო უწოდა და წაკითხული ლექსები პროფესიონალის თვალით შეაფასა. შემდეგ იქვე, სახელდახელოდ მოხდილი ჭურის ღვინით შეისვა საქართველოს, პოეზიის, სიყვარულის სადღეგრძელო.

სიყვარული და დედამიწა

მზე გენიოსი მხატვარია მხატვართა შორის,
მზის პალიტრაზე აადუღებს ცის ფერებს ურჩებს...
მერე უსახო დედამიწის მოსახატავად
ხარბად გადმოსხამს „სხივებთა ფუნჯებს“.
მზე გენიოსი მხატვარია მხატვართა შორის,
მზე დედამიწას აიფხრიწავს ნაზამთრალ ბარდნალს,
ჯერ ესკიზურად გააფორმებს გაყინულ სივრცეს,
რომ ყოველივე დაამსგავსოს თვალწარმტაც ბაღნარს.
ჰორიზონტების ჩარჩოებზე გაჭიმავს ტილოს,
რათა ისეთი სილამაზის შედევრი შექმნას,
რაც ჯერ არ ქმნილა არასოდეს მოკვდავთა გენით
და რისი მსგავსი ქვეყანაზე ვერავინ ვერ ჰქმნა...
მზე ბუმბერაზი ფერწერული ტილოს ავტორი
მისივე შექმნილს ცისქვეშეთში თავადვე იცავს...
ტილოს, რომელიც კაცთა მოდგმას საჩუქრად მისცა,
ასე დაარქვა – სიყვარული და დედამიწა.

მიუხედავად ბევრი პრობლემისა მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა დაბალია

ნუგზარ ოთარიშვილი

აქცია 10 თანამშრომლით

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი გაზეთების საშუალებით საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გურიის წარმომადგენლობას დაანონსებული ჰქონდა აქციის ჩატარების შესახებ თხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასების ხელოვნურად შემცირებასთან დაკავშირებით, 27 აგვისტოს თეატრალურ მოედანზე ცოტა ადამიანი მივიდა. აქციას ადგილობრივი ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი ესწრებოდა.

„კუბლაშვილი დამნაშავეა და იგი უნდა გადადგეს!“–ასეთი ლოზიუნგი წარმოადინა პატრიოტთა ალიანსმა.

–ადგილობრივი მაფია ხელოვნურად აგდებს თხილის ფასებს. ამაში ადგილობრივი თხილის მიმღები საწარმოები სცოდავენ –განაცხადა პატრიოტთა ალიანსის გურიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ადვოკატმა გოჩა ძიმისტარაშვილმა.

–მიუხედავად ბევრი პრობლემისა, მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა ძალიან დაბალია–აღნიშნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ნანული ორაგველიძემ. მისი თქმით, კახა ბენდუქიძე გეგმაზომიერად ანადგურებს ანასეულის ინსტიტუტის ინფრასტრუქტურას. ანასეულში სასწავლო ინსტიტუტის გახსნა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საკვლევი ინსტიტუტი, მისი ბაზა –ლაბორატორიები განადგურდეს. დღეს ბენდუქიძემ ანასეულის ინსტიტუტი საკონსულტაციო ცენტრად აქცია თანამშრომლებთან ერთად.

აღნიშნულ თაემას გამოეხმაურა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი სოსო ხინთიბიძე და სოფ. მელექედურის პრობლემებზე იასაუბრა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი გააკრიტიკა პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა შალვა დოლიძემ.

კარლო ჩიტაიშვილმა სოფ. ჭანიეთის ჩოლოქისპირის მიწების გასხვისების თემაზე ისაუბრა და ამ საქმის მონაწილედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე დაასახელა.

ინკლუზიური განათლება ანუ რატომ უნდა ვისწავლოთ ერთად

ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართვას გულისხმობს. აღნიშნული ტერმინი ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ჯერ კიდევ უცნობ ან მიუღებელ ტერმინს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების, ისე სამოქალაქო სექტორის მხრიდან, რადგან, როგორც წესი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებისაგან გაუცხოებას ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გარდა თავად საზოგადოების განწყობა და არაინფორმირებულობა უდევს საფუძვლად. ეს უკანასკნელი ადამიანებს აფიქრებინებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იზოლაციისთვის არიან განწირულები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ღმერთმა ჩვენგან განასხვავა. მაგრამ განსხვავებულობა საბედნიეროდ თითოეული ჩვენგანისთვის არის დამახასიათებელი და რა დოზითაც არ უნდა ატარებდეს ადამიანი განსხვავებულობის ნიშანს, მას სრული მორალური და სამოქალაქო უფლება აქვს სარგებლობდეს სრულფასოვანი ცხოვრების პირობებით ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გარეშე.

ვინაიდან პიროვნებისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება სწორედ სკოლიდან იწყება, ინკლუზიურ განათლებას შეზრუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოში 2009 წლიდან იღებს სათავეს მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და ნორვეგიის ელჩმა საქართველოში ხელი მოაწერეს პროექტს სახელწოდებით "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში". სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების 2013-2016 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კი აქცენტს ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი მას-

გვ-4

ინკლუზიური განათლება ანუ რატომ უნდა ვისწავლოთ ერთად

შტაბების ზრდაზე აკეთებს. სასურველია რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი ქვეყანაში მაქსიმალურად იყოს დაზღვეული ხარვეზებისაგან, რათა შედეგი მოსალოდნელისაგან საპირისპირო არ მივიღოთ. სამწუხაროდ, ხარვეზების მასშტაბი კმაყოფილების საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს.

საქართველოს მასშტაბით ინკლუზიურ განათლებაში 216 სკოლაა ჩართული, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა კი 4000-ს აღწევს. ამასთან აღნიშნული სკოლებიდან უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებით. ქვეყნის მასშტაბით არასახარბიელო მდგომარეობაა პანდუსების არსებობისა და არსებულის შემთხვევაში ვარგისიანობის თვალსაზრისით. თითქმის არ მოგვეპოვება ბიბლიოთეკები რომლითაც შშმპ პირები შეძლებდნენ სარგებლობას, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა თუ უბრალოდ გადაადგილების პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც ცალკე განხილვას საჭიროებს და არნაკლებ პრობლემატურ სფეროს განეკუთვნება.

ოზურგეთში ინკლუზიური განათლების პროცესში 20 მდე სკოლაა ჩართული, მთლიანად გურიის მასშტაბით კი ჯერჯერობით სკოლების მხოლოდ 40 პროცენტი უზრუნველყოფს შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო პროგრამებით სწავლებას.

ოზურგეთსა და გურიაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებულ ვითარებასა და პრობლემებზე ქალბატონ მარინა თოფურიას ვესაუბრეთ, რომელიც ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე და მულტიდისციპლინური გუნდის ხელმძღვანელი გახლავთ. აღნიშნული გუნდის ფუნქცია გურიაში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, პედაგოგთა კვალიფიკაცის ამაღლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შემუშავებაში ხელშეწყობა გახლავთ.

მარინა თოფურია - ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი 1996 წლიდან დაინტერესდა ინკუზიური განათლებით, როცა ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არსებობდა. თავდაპირველად მხოლოდ თემის პოპულარიზაციით შემოვიფარგლებოდით, 2005 წლიდან კი უკვე პროექტები წარვადგინეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში სკოლებში ინკუზიური განათლების დანერგვის ინიციატივით. 5 წლის წინ კი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა ინკლუზიური განათლება და დაიწყო ამ პროგრამის დაფინანსება.

აღსანიშნავია რომ ინკლუზიურ სწავლებაში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არ არიან ჩართული, არამედ ისეთნი ვისაც სასწავლო პროცესში დამატებითი მუშაობა ესაჭიროებათ, მათი შეფასების პროცესში კი მთავარი ფუნქცია პედაგოგმა და სკოლის ადმინისტრაციამ უნდა აიღოს. მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაზე მორგება კი ნებაყოფლობითია და მშობლის თანხმობასა ან უარზეა დამოკიდებული. ჩვენ ვართ დამხმარე და ვახორციელებთ მონიტორინგს რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს პროცესი.

ამ ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე სამწუხარო და უარყოფითი ტენდენცია გამოიკვეთა: ერთი ის, რომ ხელოვნურად ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების დამალვა, რადგან პედაგოგებისთვის ეს დამატებით ენერგიასა და ბიუროკრატიულ რუტინასთანაა დაკავშირებული. და მეორე პედაგოგები მოტივირებულნი არ არიან და გამუდმებით წუწუნებენ დამატებითი ანაზღაურების არ ქონის გამო. მიუხედავად იმისა რომ განათლების შესახებ კანონში ჩაწერილია, რომ შშმპ პირს ტიპურ ბავშვთან შედარებით მეტი ვაუჩერი უნდა ეძლეოდეს, კანონის ეს მუხლი დღემდე არ ამუშავებულა. ამოქმედების შემთხვევაში კი ვფიქრობ აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია მეტნაკლებად აღმოიფხვრებოდა.

ინკლუზიური განათლებისთვის არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ მატერიალური გარემოც მნიშვნელოვანია. უნდა შეიქმნას შესაბამისი განწყობა, ამაღლდეს კვალიფიკაცია, დაიმსხვრას სტერეოტიპები, მომზადდეს მშობლები როგორც შშმპ ისე ტიპური ბავშვებისა და რაც მთავარია მოგვარდეს ინფრასტრუქტურული პრობლემები.

დღეს ჩვენ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პარალელურად ბავშვები გვყავს შინსწავლების პროგრამაზეც. ამის მიზეზი ხშირ შემთხვევაში სოფლებიდან მათი ტრანსპორტირების პრობლემაა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მივმართეთ ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც და პროექტით ადგილობრივ თვითმმართველობასაც, რომლიც კანონის თანახმად უფლებამოსილია მაგრამ არა ვალდებული დაუფინანსოს ინკლუზიური განათლების საჭიროებები სკოლებს.

რაც შეეხება სკოლების ინვენტარიზაციას, შემიძლია გითხრათ რომ ინკლუზიური სწავლებისთვის ადაპტური ტუალეტი მხოლოდ სამ: მერიის, შემოქმედისა და ლაითურის სკოლებს აქვთ. პანდუსი კი - 10 მდე სკოლაში მოგვეპოვება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. სრულიად ადაპტური კი არც ერთი სკოლა არ არის გურიაში.

რაც შეეხება პედაგოგებს დაახლოებით 300 მდე პედაგოგი დატრენინგებულია გურიაში ინკლუზიური განათლებისთვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ბევრი შემთხვევაა სკოლებში სმენადაქვეითებულები, ყრუ-მუნჯიც კი სწავლობს - მითხარით ვინ იცის ჟესტური ენა რეგიონში?

— რა შეგიძლიათ გვითხრათ საზოგადოების განწყობებზე?

— 15 წლის წინ ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო. მას შემდეგ ცნობიერება ნამდვილად განვითარდა თუმცა ვერ ვიტყვი რომ 100 პროცენტით ტოლერანტები ვართ. მაგალითად 2 წლის წინ ჩვენ გვქონდა შემთხვევა როდესაც სკოლამ ვერ მოახერხა სასწავლო პროცესში იმ ბავშვის ინტეგრირება, რომელსაც ქცევის მართვა უჭირდა და მშობლებმა კატეგორიულად მოითხოვეს მისი სკოლიდან გაყვანა. სტერეოტიპები ტერმინებშიც კი ბოლომდე არ არის დაძლეული. პედაგოგებს შრომის დღეს დამკვიდრდა ახალი ტერმინი „ინკლუზივი ბავშვი“ რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით სრული აბსურდია. თავად ტერმინი ინკლუზიური განათლებაც ოზურგეთის მასშტაბით ალბათ მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტისთვის თუ იქნება ცნობილი.

სრულფასოვან, ინკლუზიურ განათლებამდე მიმავალი გზა არ არის სწრაფად და მარტივად გასავლელი, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნაში როგორიც საქართველოა. ქვეყნაში რომელშიც შშმპ პირებს სულ ცოტა ხნის წინ „ინვალიდებს" უწოდებდნენ და მერე თავად ამ ტერმინს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას დამამცილერელ კონტექსტში მოიხსენიებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი საქართველოში პრობლემების პარალელურად მიმდინარეობს, თავად პროგრამის დანერგვის ფაქტი უდავოდ წინ გადადგმული და იმედის მომცემი ნაბიჯია, იმედისა რომ სახელმწიფოსთვის დღის წესრიგში უახლოეს მომავალში მაინც დადგება ჯერჯერობით უგულვებელყოფილი პრობლემები ამ მიმართულებით.

სტატიის დასასრულს განსაკუთრებული ყურადღება მინდა საზოგადოებისა და საქართველოს თითოეული მოქალაქის, შშმბლისა თუ მოსწავლის პასუხისმგებლობაზე გავამახვილო, რომელთა განწყობებს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვანი და ჯანსაღი საზოგადოების მშენებლობის პროცესში. თუკი დემოკრატია სიტყვა-სიტყვით უმრავლესობის მმართველობას გულისხმობს, დემოკრატიის საზომად განვითარებულ სამყაროში სწორედ სხვადასხვა ნიშნით უმცირესობაში მყოფი ადამიანების უფლებრივი და ყოფითი მდგომარეობა მიიჩნევა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები კი, რომლებიც მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ერთ მეათედს შეადგენენ, ცალკეული ქვეყნის შიგნით სწორედ იმ უმცირესობებს განეკუთვნებიან, რომლებიც საზოგადოებისაგან განსაკუთრებულ და ამავდროულად თანასწორ მიდგომას საჭიროებენ. სწორედ ამ მიდგომის მიხედვით ძალიან მარტივად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა საკუთარი განვითარებულობის თაობაზე, როგორც დასავლური, ისე ადამიანური და ქრისტიანული ღირებულებების თვალსაზრისით. ახალგაზრდობა კი, რომელიც სკოლიდანვე ეზიარება აღნიშნულ ფასეულობებს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დონეზე, გახდება ასე ნანატრი ჯანსაღი სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველი და გარანტი. აი, რატომ უნდა ვისწავლოთ ერთად და რატომ უნდა ისწავლონ ჩვენმა შვილებმა მათთან და მათგან ვისაც განსხვავებულ მდგომარეობასთან ერთად სასწავლო პროცესში შედარებით განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ, საბოლოოდ, ამ განსხვავებულობის სოციალურ დონეზე დამარცხების მიზნით.

ანანო სირაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო შპს „გურიატრეველ“-თან არსებული იური ჩიხლაძის სახელობის ქართული ხალხური საკრავიერო და ხმიერი მუსიკის შემსწავლელი სტუდია

„გურიის ვირტუოზები“

აცხადებს 2013-2014 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან მოსწავლეთა მიღებას, ხოლო 16 სექტემბიდან განახლდება სწავლა სტუდიაში.

სტუდიაში შეისწავლიან:

1. სალამური; 2. ფანდური-კლასიკური; 3. ჩონგური; 4. ბას-ფანდური; 5. ტამ-ტამი; 6 ვოკალი.

მსურველებმა დაგვიკავშირდით: 555 209 024; 593 486 005; 593 473 055; 555 509 246.

შპს „გურია ტრეველი“-ს დირექტორი დავით კვერღელიძე.

ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3 (მერიის შენობა მე-2 სართული)

ლილი პატარავა

ოზურგეთის რაიონის პედაგო-გიურ საზოგადოებას დაკლდა კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი, სანიმუშო პედაგოგი, უსაზღვრო ენერგიისა და შემართების მქონე, სითბოსა და სიყვარულის გამცემი, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, ღირსების ორდენოსანი, განათლების სისტემის საუკეთესო წარმომადგენელი ლილი პატარავა.

ქალბატონი ლილის მიერ გავლილმა გზამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადამიანის სიმაღლე, მისი ღვაწლით იზომება.

იგი დაიბადა 1933 წელს, ოზურგეთში. დაამთავრა ოზურგეთის ქალთა მე-2 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ოზურგეთის სბავშვო სახლში აღმზრდელ-მასწავლებლად, უფროს პიონერხემძღვანელად, კომკავშირის რაიკომში სასკოლო განყოფილების გამგედ, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, აბრეშუმის ფაბრიკის სბავშვო ბაღის გამგედ, სკოლა-ინტერნატის დირექტორად.

1976 წლიდან პენსიაში გასვლამდე კი განათლების განყოფილების მეთოდისტად, შემდეგ კი სასკოლო ინსპექტორად. ამასთან ერთად იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა კვირიკეთის საშუალო სკოლაში. მრავალჯერ იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ქალბატონი ლილი ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ, უსაზღვრო სიყვარულითა და შესაშური შრომისმოყვარეობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

სათანადოდ იქნა დაფასებული ქალბატონი ლილის მიერ გაწეული ღვაწლი. დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებით, მედლებით. იგი ღირსეულად ფლობდა ღირსების ორდენს.

პროფესიისადმი მისმა უსაზღვრო სიყვარულმა, კოლეგების მიმართ კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ, მოყვასისადმი უღალატო თანადგომამ კოლეგებსა და ნაცნობ-მეგობრებს შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

უბადლო მანდილოსნის, სანიმუშო მეგობრის, სიდარბაისლითა და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნების, ლამაზი ოჯახის მოვლასა და გულღია მასპინძლობაში დაუღლელის, მარადისობაში გადასული ქალბატონი ლილი პატარავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია

მშობლები ზინა (ღუღუნი) არობელიძე, ომარ ანდღულაძე, ოჯახით იუწყებიან **ეკა ანდღულაძის** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 7.09; დაკრძალვა 8.09, (სოფ. ქვ. ბახვი)

მამიდა ნარი ანდღულაძე, სოფო, სოსო, ნინო კბილიანიშვილები, სიძე ხვიჩა სალუქვაძე, შალვა ფაღავა იუწყებიან **ეკა ანდღულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სილაურის სკოლის პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს სკოლის დირექტორს ბადრი ლომინაძეს დედის, **ლეილა სტურუას** გარდაცვალების გამო.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილება თანაუგრძნობს იზა როყვას და კახა კოპლატაძეს შვილის, **ცოტნე კოპლატაძის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ლალი თავაძე, ნაილი გრძელიძე, კლარა გურგენიძე, ელიკო ბურჭულაძე, როზა გოგუაძე, ანა ნაკაშიძე, თამარ ჩხარტიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თბილი, ყველას მოსიყვარულე, კეთილშობილი ქალბატონის **ლილი პატარავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 3 სექტემბერს, სამშაბათს, სოფ. ძიმითში.

ნასაკირალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ამავე სკოლის პედაგოგს ეთერი მენაბდეს უსაყვარლესი დის **ელიკოს** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი მწუხარებით იუწყება ყოფილი დირექტორის, ქალბატონ **ლილი პატარავას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ქ. ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღის კოლექტივი თანაუგრძნობს ლალი სამსონიას დედის **ლილი პატარავას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru